

# პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - მოდულური პროგრამა) პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. **კოლეჯი** - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
3. **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.
4. **კომპეტენცია** - სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
5. **კრედიტი** - ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად.
6. **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
7. **სწავლის შედეგი** - განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

## მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნა

1. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
4. კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის/დამატებითი სწავლის შედეგის(ებ)ს დადასტურების დასრულებისას, ამ წესით განსაზღვრული პირობების მონიტორინგის მიზნით.

## მუხლი 4. შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

მოდულური პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულურად.

## მუხლი 5. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება

1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
2. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
3. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი (შესაფასებელი პირი) დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

## მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
  - ა) განმავითარებელი;
  - ბ) განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

## მუხლი 7. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურება (განმეორებითი შეფასება)

1. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
2. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/საწარმო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია განსაზღვროს განმეორებითი შეფასების ვადები.
3. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დადასტურების შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
4. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.

### **მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტები**

1. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).
2. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

### **მუხლი 9. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია**

1. შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო ვერიფიკაციას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.
2. ვერიფიკაციის მიზნით, შეფასების ინსტრუმენტი შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე უნდა წარედგინოს ხარისხის მართვის მენეჯერს.
3. ხარისხის მართვის მენეჯერი ვალდებულია განიხილოს შეფასების ინსტრუმენტის პროექტი და დაადასტუროს ხელმოწერითა და თარიღით, ან თავისი შენიშვნებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
4. ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალიტები ან/და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები.
5. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

### **მუხლი 10. შესრულების მტკიცებულება**

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.
2. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
3. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

### **მუხლი 11. შეფასების გაფორმება**

1. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით (შეესების წესების დაცვით).
2. სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტები (ოქმები და უწყისები) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება კოლეჯის ადმინისტრაციაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

*დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N38, 07.05.2019წ.*